სებისაკენ მოულოდებლად კაცობრიობის შემოქმედებას“ (ლ.
ქიქელიძე), თავიდან ვერ აიცილნა ქართულმა დრამატურგიამ
(გ. რობაქიძის „ლონდა“, „მალტრეზი“ და სხვ.) ქართულ-
მა თეატრმა ოცინი წლებში გარკვეული ხარკი გაუღო ექსპრე-
სიონისტულ მიმართულებას.

1 ექსპრესიონისმი ერთ-ერთი მღვირი მიმართულებაა ხელო-
ვნებაში. იგი წარმოიშვა მე-20 საუკუნის დასაწყისში და დღემდე
პირდაპირ ეხმარება სინამდვილეს. მასში, ხელოვნებით, არჩევენ
ორ მხარეს. პირველი — რეალურად, რომელიც მდგომარეობს იმ-
პერიალიზმით გამოწვეულ შიშისა და მისტიური გამოჩენების გლ-

ქართული საბჭოთა

დრამატურგიის

განვითარების გზა

(ოცინი წლები)

დავით თევზაძე



ქართულმა საბჭოთა დრამატურგიამ ეპიკური და
ლირიკული გვარებისაგან განსხვავებით მეტად და-
რბიბი მემკვიდრეობა მიიღო. გ. ერისთავის, ზ. ან-
ტონოვის, ა. ცაგარლის, დ. კლდიაშვილის, ვაჟა-ფშაველასა
და შ. დადიანის პიესები, აგრეთვე ილიასა და აკაკის ბრწყინ-
ვალე დრამატული პოემები, რომლებიც შესულია დრამატურ-
გიული ხელოვნების ეროვნულ ფონდში, ასალი ქართული ლი-
ტერატურის ფართო იდეურ-მხატვრულ პრობლემატიკათა
ფონზე მცირე ხვედრითი წილისა და ვერ ამოსწურავს ჩვენი
ხალხის შემოქმედებით დიახაზონს ამ დარგში.



ამ პერიოდში ქართულმა თეატრმა დადგა უცხოელი მწერლების ექსპრესიონისტული დრამები: ვ. ვერდის „შვი- გულმეძის“, ვ. კაიზერის „ვაზის“, ე. ტოლერის „აკაცი მასა“, „კოპლა ჩვენ ვცოცხლობთ“ და სხვ.

ექსპრესიონიზმს თავისი თეორეტიკოსები გამოუჩნდნენ დრამატურგებიც.

წერილში „ახალი დრამა“ San Diani აყენებს დრამის ახალი ფორმის შექმნის პრობლემებს და წერს: „მეოცე საუ- კუნეში არ ლაპარაკობენ, ყვირიან, ჰკვიან, სტუმენ ტრიბუნ- იან. დღეს კი არ იყიანა — ხარხარებენ; დღეს კი არ სტი- რიან — ჰკოდებენ, მოსთქვამენ. დღევანდელი თეატრი სამი- ნელი დისონანსია ცხოვრებასთან. დღევანდელ მოქალაქეს რო- გორ შეუღლია სამი-ოთხი საათი ერთს ადგილს დაჯდეს და უსმინოს იადონის სტენისა, ტირიფის ფოთლების შრიალს, ანკარა წყაროს ლიკვიცა.“

ლიტერა, ვლეგია, ლექსი, გრძობა! — ეს დღეს ჩვენს ნერ- ვებს ვერ შვარხვებს, ჩვენს სმენას არ ჩაწვდება. რა საჭიროა შინაარსი. დღეს ყველამ ყველადგობ იცის. დღეს სხვა რამეა საჭირო. ახალი, და, აი, დრამაც ასეთივე უნდა იყოს. ადამია- ნის ფსიქოლოგია კი არა, მასის ფსიქოლოგია. პიროვნების განცდა და ტრავმადია კი არა ხალხის, ერის განცდა და ტრ- ავმადია — აი მასალა ახალი დრამისა“².

ამ წერილის ავტორი, რომელიც უარყოფს შინაარსეულ მზარეს თეატრში და მითითებს ყურისმოჭრული, „მყვირა- ლ“ სპექტაკლების შექმნას, პიროვნების განცდებს უპირის- პირებს „მასის ფსიქოლოგია“, აშკარად სცილდება რეალის- ტური ხელოვნების პრინციპებს. მიუხედავად ამისა, შეიძლება ვთქვათ, რომ ქართულ საბჭოთა დრამატურგიის ძირითადი გზა ექსპრესიონიზმისგან შეუღლებული დრამაა.

აღსანიშნავია, რომ ექსპრესიონისტული სპექტაკლების (და, უპირველეს ყოვლისა, ექსპრესიონისტული დრამატურ- გიის) წინააღმდეგ გაილაშქრეს პროლეტარიალური (პ. ქი- ქოძემ, ვ. მაჭავარიანმა, შ. რაიანმა, კ. კალაძემ, კ. ლორთქი- ფანიძემ, ა. მასაშვილმა, ე. ზედინიძემ და სხვ.), რომელთა აზრით, „ექსპრესიონისტების ხელოვნებამ გერმანიაში წარ- მოშობიდა რეაქციონური ჩოლი ითამაშა“. ისინი ვ. ვერ- ფლის პიესის „შოიგელმენის“ დადგმასთან დაკავშირებით (რეჟისორი კ. მარჯანიშვილი) გამოხედნენ პროტესტით: მასვასი რამ ჩვენში არ განხეორღნის“³.

ვიგებამი, საკუთარი ძალის უბედველყოფასა და უსასოო პესი- შიზმში. მთხრე, პროგრესული, რომლის წარმომადგენლებს უპი- რისპირდებთან არსებულ სინამდვილეს, იმპერიალისტურ ოქმებს. შაოლია, მათი პროტესტი ინდივიდუალისტურია, ამასთან არ არის თანმიმდევრული, სწორი პოზიციებიდან და უპირატესად წყობილებუაზეოლ-ბუნებრიული ხასიათისა, მაგრამ საბოლოოდ ისინი შინაგნ ძალის იღვწენ პროლეტარულ მოძრაობასთან.

ექსპრესიონიზმმა, როგორც ახალმა ლიტერატურულმა, მოიცვა ხე- ლოვნების ყველა სფერო: მხატვრული მონუმენტუალა, სახეობი ხე- ლოვნება, მუსიკა, თეატრი.

საბჭოთა სინამდვილეში ექსპრესიონიზმს, როგორც იდეურ ნი- შანობლებსა, ნიაღვრე არ გააჩნდა და ოციანი წლების პიკეულ მა- ხევაში იგი არსებითად რჩებოდა მხოლოდ როგორც მხატვრულ- შემოქმედებითი მეთოდი, სტილი და გამოდინარეობდა ფორმუ- ლოზის პრინციპებით.

ექსპრესიონიზმის აპოლოგეტად საქართველოში გამოიღიდა კ. გამსახურდია და სხვები.

² ვახ. „ლომისა“, № 9, 1922 წ.

³ ვახ. „კომუნისტა“, № 8, 1925 წ. 10 იანვარი.

ახალგაზრდა საბჭოთა დრამატურგიის აღმავლობას მიწოდ- რიც სხვა ფაქტორებთან ერთად საგრძნობლად აყვებინდა რაპაკულ-ველდარზატორული შეხედულებები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. რაპაკელები ამანაჩუბდნენ პარტიის ბრძნულ პოლიტიკას და ყოველნაირად უსაბოდნენ ნორმალუ- რი შემოქმედებითი მუშაობის პირობებს არაპროლეტარულ მწერლებს. ურნალში „თეატრი და ცხოვრება“ დაბეჭდილია ინფორმაციული წერილი: „ვ. გამსახურდიამ, — ვეითხულობთ წერილში, — აღნიშნა, რომ ხელოვნების ვიწრო ჩარხებში, მომწვედვეა დაუშვებელია, თითო მარქსიც კი დიდის პატი- ვისცემით ეპყრობოდა სხვა ბანაკის ხელოვანთ (გოფთე), ყვე- ლა მიმართულებას უნდა შეეწყოთ ხელი, რომ მწერლობა, ხელოვნება აყვადეს. ქართული კულტურა, ლიტერატურა მე- თორმეტე საუკუნიდან ჩამოყალიბდა, ვითარცა სწორუპობრივ სვეტი და ყველა ქართველი მწერალი ამის გაგრძელება უნდა იყოს. საერთოდ, — განაგრძობს წერილის ავტორი, — კ. გამ- სახურდიას სიტყვა ილ. მგელაძე — ვარდინის სიტყვის შემ- დევე უფრო შინაარსიანი, მთლიანი და გარკვეული იყო“⁴. ზოგ პროლეტარულ მწერალსა და თეატრალურ მოღვაწეს მეტად შეუღულულად ესმოდა პროლეტარული ლიტერატურის, კერძოდ, დრამატურგიისა და თეატრის თემატიკური დიაპა- ზონი. ფიქრობდნენ, რომ ახალი, საბჭოთა დრამატურგიის მიზანს წარმოადგენდა აესახა მხოლოდ და მხოლოდ „ქარხნის ცხოვრება“ და „ქარხნის სულსიკვთება“. ეს იყო მთხრე უკი- დურესობა, რომელიც ნატურალიზმის, უფერული და სქემატიზმისაკენ ეზიდებოდა ქართულ საბჭოთა დრამატურ- გიას.

ბუნებრივია, საბჭოთა სალიტერატურო პოლიტიკა და ლიტერატურამოციდნობა ვერ გაიხიარებდა მსგავს შემეღუ- ლებებს. დიდ რუს ხელოვნებამოციდნეს ანატოლ ლუნარჩის ფართოდ ესმოდა სოციალისტური ხელოვნების არსი და პროლეტარულ მწერლებს მიუთითებდა არ ჩაკეტილიყვენ თავიანთ თავში, გამოუყენებინათ ფორმალზმის მიღწევები და ფართოდ აესახათ სინამდვილეს, თანამედროვე ცხოვ- რება.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა აკაკი გაწერელიას წე- რილი „დრამატურგიის პრობლემები“. მასში ავტორი ეტება ახალი დრამატურგიის განვითარების გზებს და იმ თვალსაზ- რისს ავითარებს, რომ საბჭოთა ლიტერატურა არ შემოიზღუ- დოს მხოლოდ და მხოლოდ ქარხნის თემატიკით და ამავე დროს დადღწოს თავი ვიწრო, ოჯახური „დრამის“ ჩვენებას. „არ გმარა მარტო გრდენლის ან ქარხნის სურათის გადმოყე- მა, — წერს იგი, — პროლეტარიატისათვის და ახალი დრა- მატურგიისათვის მიუღებელია, ვიწრო ოჯახური „დრამის“ მოცემა. იგი ატარებს ინდივიდუალურ ხასიათს. როდესაც დღეს მასა მიდის თავის შემეცნებით საგნობრივ ათვისებით, კოსმოსური წვით, მისი ფსიქოლოგიური ვითარების გაშლის ფონზე ინდივიდუ მკვეყნებელია პროფილია“⁵.

პირველი საყურადღებო დრამატურგიული ნაწარმოებები ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში შეიქმნა 1921-22 წლებ-

⁴ „თეატრი და ცხოვრება“, № 10, 1925 წ.

⁵ ურნ. „ლომადავი“, № 2, 1925.

ში. ქართველმა მწერლებმა: გ. ბუნიაშვილმა, ა. მიჩულა- ვამი (მაშაშვილმა), ხ. ერთაწინდელმა, ხ. ეულმა, გ. ხერკუ- შვილმა და სხვ. დაწერეს პიესები, რომლებსაც ქართული დრამატურგიისა და თეატრის მკვლევარი გვერდს ვერ უვლიან, თუმცა ეს ნაწარმოებები, რა თქმა უნდა, მხატვრული თვალსაზრისით სუსტია და აშკარად მშრალი, საავტორო-პროპაგანდისტული ხასიათისა.

ქართული საბჭოთა დრამატურგიის პირველი ნაწარმოე- ბია გ. ბუნიაშვილის თრუმქემდეზანი კომედია „შემინებუ- ლი ანთიმოზი“, რომელიც ავტორმა შექმნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან ორი თვის თავზე. მასში მწერალმა გვიჩვენა, ერთის მხრივ, მენშევიკური მთავ- რობისა და ჯარის პოლიტიკურ-მორალური დაცემა, ხლო მეორე მხრივ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მუშურ- გლეხური წითელი არმიის შეგნებული პოლიტიკა, მისი მაღა- ლი ეთიკურ-მორალური თვისებები: ნაწარმოები კომედიურ სიტუაციას ქმნის შეუგნებელი ქართველი გლეხკაცის ანთი- მოზის ბავშვური შიში სოციალისტური რევოლუციისადმი. მისი საპირისპირო ხასიათებიან გამოსახულებები (მოხუცი გლეხი, მაკრინე (ანთიმოზის მუღლე) და ქალიშვილი (ნატალია); პიესაში წითელარმიელ ნიკიტასა და მაქსიმეს დამოკიდებუ- ლება ანთიმოზის ოჯახისადმი გამოსახატავს რუსეთის მუშურ- გლეხური არმიისა და ქართველი ხალხის სულიერ ერთიანო- ბას, ხალხთა მეგობრობას.

1921-1923 წლებშია დაწერილი ალიო მაშაშვილის (მიჩულაშვილი) ადრინდელი იუესები, რომლებიც ყურადღე- ბას იპყრობენ არა მარტო თემატიკური აქტუალობით, არამედ სცენურ ღირსებებითაც.

ა. მაშაშვილის პიესა „რევოლუციის მოლოდინში“ დთა- რიღებულია 1921 წლით. ნაწარმოებში გაშლილია საქართვე- ლოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის თემა. დრამაში რევოლუციურ-სასოფადობრივი მოტივები ორგანულადაა შერწყმული პირად-რობითურ მოტივებთან. პიე- სის გმირებს შალვა მუშინიშვილსა და ნინას უყვართ ერთმანე- თი, მაგრამ მათთვის მოავარია შრომელი ხალხის განთავი- სუფლებისათვის ბრძოლა, მათთვის თავდადება.

„ოჲ, ვინ უნდა გაიხსენოს საკუთარი ტანჯვა იმ დროს, — მიმართავს ნინა შალვას, — როდესაც ირგვლივ გვისმის ხალ- ხის კენესა და ამოხევა“.

პიესა მოაგრდება აპოთეოზით, რომელიც გამოსხატავს მენშევიკური წყობილების დამხობასა და გამარჯვებული პროლეტარიატის ზეიმს.

მხატვრული ფორმის თვალსაზრისით ნაწარმოები არ იყო ახალი მოვლენა ქართული დრამატურგიისათვის. იგი შ. და- დიანის ადრინდელ პიესებთან („მედივიში“, „როს ნადიმობ- ნდენ“) უფრო ახლოს დგას. პიესის სიუჟეტი რთული არ არის, თუმცა დამაბულად ვითარდება სახეები და ხასიათები გამოკ- ვეითლია.

აქსანონიშვარია ამავე ავტორის საავტორო ხასიათის ერთ- მოქმედებიანი გადმოქართულებული თუ ნათარგმნი დრამატუ- ლი ნაწარმოებები, რომლებიც თემატიკურ-იდეური თვალსაზ- რისით მნიშვნელოვანი შენაძენი იყო ახლად ფეხადგმული

ქართული საბჭოთა თეატრისა და დრამატურგიისათვის. არა- მატყურე თვალსაზრისით საყურადღებოა ს. ერთაწინდე- ლის, შ. ინსარბიძის⁶ და სხვათა პიესები.

მაგრამ ეს ნაწარმოებები მხატვრული თვალსაზრისით სუსტია. ისინი აშკარად ვერ აკმაყოფილებდნენ ლიტერატ- ურულ-თეატრალურ სასოფადობრიობის მნიშვნელებს, ესე- თეტიკურ გემოვნებს. როგორც თემატიკურად ახალი, საავტო- რიტაციო-პროპაგანდისტული ნაწარმოებები, პირველ ხანებში თუ ერთგვარად საინტერესო იყო, შემდგომი, ბუნებრივია, მიუღებელი დარჩებოდა საბჭოთა მწერლობისა და თეატრი- სათვის.

ამ პერიოდში მთელი სიმწვავეით დადგა ქართული დრამა- ტურგიის განვითარების საკითხი: „რეპერტუარი მხატვრულ ხასიათს უნდა ატარებდეს, — ჩაუვარდება სრულიად საქარ- თველის სტანდენტების კავშირის ერთგულ მასობრივ კულტ- ურციის საბჭოს რწმუნულობაში, — რადგან მხოლოდ კუმშა- რიტ მხატვრულ ნაწარმოებს შეუძლია მსმენელის სულსა და გულს მიწვდეს“⁷...

თანამედროვე დრამატურგიის სისუსტეს აღიარებენ პრო- ლეტარული მწერლები და თეატრალური ხელოვნების მუშა- კებიც:

„თეატრს უპირველესად სჭირდება „სული“ და „გული“, ე. ი. ეროვნული დრამატურგია. — წერს ქართველ პროლეტა- რულ მწერალთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი რ. კალაძე, — ვის უნდა შეეძინა ეს? ცხადია, პოეტ-მწერლებს“⁸.

„წარმოდგენის საფუძველი უნდა შეიქმნეს ახალი ლიტერ- ატურულ-თეატრალური მასალა. ამნიარად ყურადღების ცენტრი უნდა გახდეს დრამატურგია“⁹ — აღნიშნავდა შ. რა- დიანი.

ცნობილი ქართველი თეატრალური მოღვაწე ვახტანგ გა- რიკი, რომელიც ხელმძღვანელობდა საქართველოში პროლეტა- კულტის თეატრს, მთავარ მომენტად მიიჩნევდა პიესას, დრამატურგიას. „დღეს ბევრს ლაპარაკობენ პროლეტარულ თეატრზე, — წერდა იგი, — და შეიძლება კიდევ ბევრი ილა- პარაკონ, რადგან თეატრს ამოძრავებს მხოლოდ დრამატურ- გია. დრამატურგია კი, ესე იგი რეპერტუარი, პროლეტარული თეატრისათვის ჯერ არ შექმნილა“¹⁰.

ამ პერიოდში ქართული საბჭოთა თეატრები უმთავრესად ეკმაყოფილებოდნენ რევოლუციამდელი და თარგმნილი პიე- სებით. შექმნილი მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე აღ- მონდაა თეატრებისათვის.

„ქართული თეატრის მკვიდრ ნიდავზე დადომას და სა- ერთოდ ჩვენი მსახიობის უხლანდელ ინტენსიურ განვითარე- ბას სრულიად ვერ შეესაბამება ქართული დრამატურგიის მდგომარეობა, — ვკითხვლობთ ვურნ. „ხელოვნების დროშა- ში“, — ახალ ლიტერატურაში ყველა ფორმამ გაუსწრო დრა- მას, ეროვნულ რეპერტუარს მოკლებული ახლად მოცლიბე ქართველი არტისტული ძალიერი იძულებული იმან უცხოე- ლნი“⁶

⁶ ნ. ინსარბიძის 1925 წელს დაუწერია პიესა „გულდომიერ ულენინა“.

⁷ ვურნ. „ხელოვნების დროშა“, გვ. 38, № 2, 1924.

⁸ იქვე, გვ. 17, 1924.

⁹ იქვე, № 5 „გვ. 12, 1925.

¹⁰ იქვე, № 4 „გვ. 10, 1925.

თის დრამატურგაის დაყრდნობ. ასეთი სიმორე და სხვაობა დრამის, მწერალსა და განმსახივრებელს შორის მეტად რთულსა და თითქმის დაუძრველ პოზიციურებს წინაშე აყენებს თეატრს (რიტმის, ტემპორამენტის, განწყობილების და სხვ. შეუთავსებლობა).

მით უმეტეს ღარიბია ჩვენში ახალი სოციალური შინაარსის რეჟოლუციური რეპერტუარი, რომელიც ან სრულად არ არსებობს, ან მეტად ავიატიონურ და ხალტურული სა-ხით.ყოველგვარ მხატვრული ღირებულების გარეშეა¹¹.

დიდ ქართულ რეჟისორს კოტე მარჯანიშვილს მაინდა, რომ აღრინდელი ქართული ეროვნულ-ორიგინალური დრამატურგიის განვითარების თვითმყოფადი გზა გახსნულია ისტორიის რთულ ხვევლებში და რამდენადაც თეატრი ინტერნაციონალური მოვლენაა, დროებით მაინც ფართოდ გაეღოთ კარი ნათარბილი პიესებისათვის¹². ქართული დრამის რეპერტუარის, ე. ი. არსებითად დრამატურგიის საკითხი წარმოადგენდა ცნობილი თეატრალური კორპორაციის — „დურუჯის“ ერთ-ერთ ძირითად სადაო პრიობლემს.

ცნობილი ქართველი მეცნიერი ვახტანგ კოტეტიშვილი ეროვნული დრამატურგიის პროტექციონიზმს მოითხოვდა. „მართალია, — წერდა იგი, — ვეროპის დრამატურგია, გამოცდილი ტრიუმფებით სიარულში, უფრო მეტს იძლევა, მაგრამ, მე ისევ ჩვენი ღარიბი დრამატურგია მიერჩევნია, რომელშიც შეიძლება ჯერ ან იყვეს ქართული ხასიათი, მაგრამ იქ არის მომავალი ეროვნული გამარჯვების საწინდარი... ქართულ თეატრში უმრავლესობა ქართული პიესები უნდა იყვეს, რადგან მხოლოდ ასეთი პროტექციონი შეუწყობს ხელს დრამატურგიის განახლებას და გაძლიერებას¹³.

ოციანი წლების შუა მიჯნაზე ერთგვარი აღმავლობა შეინიშნება ქართულ საბჭოთა დრამატურგიაში: ფართოდება მისი თემატიკური რეალი, დრამატიკა შინაარსობრივად და მრავალფეროვანი ხდება მხატვრულად. ამ წლებში შეიქმნა ს. შანშიაშვილის „ლატარა“ („ივერიკოს“ ახალი ვარიანტი), „სპარტაკი“, „ქერეთის გმირები“, ნ. აზიანის „დეზერტიკა“, პ. კაკაბაძის „ლისაბონის ტუსალები“, ნ. შივაშვილის „ამერიკელი ძია“ და სხვ.

ს. შანშიაშვილის ტრაგედიები და დრამები ისტორიულ თემებზეა დაწერილი („სპარტაკის“ ფაბულა აღებულია

რომის ცხოვრებიდან, ხოლო „ქერეთის გმირები“, იგივე „მითარბის პანაშვილი“ შექმნილია კ. მარჯანიშვილის პიესის — „თქმულბა ძველ ცაცხვზე“ — მიხედვით და ასახავს ისტორიულ წარსულს), მაგრამ მათში იგრძნობა თანამედროვეობის სუნთქვა, ეპოქის მაკსიმემა, მშრომელი ფენების ბძილვა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ.

„რეჟოლუციის არ შევძლო გავლენა არ მოგზინდა ს. შანშიაშვილზე, როგორც დრამატურგიის ერთ უნიჭიურეს ოსტატზე, — წერდა შ. დუღუშაძე. — თავის „სპარტაკით“ ის ეშმიედობება პატრიოტულ რომანტიკას და რეჟოლუციურ წარსულს გულწრფელობით აღადგენს. „სპარტაკი“ შანშიაშვილის შემოქმედებაში თავისებურ გარდამავალ პერიოდს წარმოადგენს მისტიციზმისა და ნაციონალიზმიდან დიდ სოციალურ თემატიკისკენ“.

ამ თელასახისით განსაკუთრებით იწყებს ინტერესს „ქერეთის გმირები“ (1925 წ.). მასში ავტორმა წარმოსახა ბატონწყობი საქართველოს თავისუფლებისმოყვარე გლეხების შეურთებელი დანაშაული ბძილვა მხაგერელთა წინააღმდეგ. ჰერეთელი გლეხები: ელიბო, მათია, თანდია, ათანელის ქერი და, უფრო სწორად, მთელი თემის გლეხობა იმარჯვებს ბატონთან ბძილვაში.


ს. შანშიაშვილის დასახელებული პიესები, ისე როგორც საზოგადოდ მისი დრამატურგია, ყურადღებას იქცევს მასობრივობით, მათში მოქმედებს მიოელი სოფელი, გლეხობა. — ეს ს. შანშიაშვილის დრამების ერთ-ერთი სპეციფიკური ნიშანია.

ისტორიულ ქარგზეა შექმნილი პ. კაკაბაძის პიესა „ლისაბონის ტუსალები“ (შემდგომი ავტორმა ამ პიესას უწოდა „ქარიშხალი“), რომელიც თავისი ლიტერატურული და სცენური ღირსებებით იმ პერიოდის ძირითადი დრამატურგიის ერთ-ერთი საყურადღებო ნაწარმოებია. ამ პიესას, რომელიც რუსთაველის სახელმწიფო თეატრმა 1925-1926 წლის სეზონში წარმოადგინა, ქართული თეატრალური საზოგადოებრიობა კმაყოფილებით შეხვდა: ეწინააღმდეგობის რევენ-შენტი ითვალისწინებდა რა მამინდელი ქართული დრამატურგიის მდგომარეობას, წერდა: „ასეთ პირობებში პ. კაკაბაძის „ლისაბონის ტუსალები“ — მოვლენა თანგრძნობით უნდა აღინიშნოს“.

პიესა სოციალურ სიუჟეტზე შენდება. იგი რეჟოლუციონური ენთუზიაზმითაა აგზნებული: ცინე, პოლიტიკურ პატი-მართა მართა, ჯანყი, თავგანწირული ბძილვა, რეპტიკის მკაცრი პასუხი და სხვ.

პიესა ვგეტურად და სცენურადაა აგებული.

¹¹ ეწინააღმდეგება, № 21, გვ. 26, 1925.
¹² რა თქმა უნდა, კ. მარჯანიშვილი აღიარებდა ეროვნული დრამატურგიის უპიობტისობას, მაგრამ შექმნილი ვითარებაში დიდი რეჟისორი ქართული თეატრის კრიზისიდან გამოსავალს თანგმნილ პიესებზე ხედავდა. შემდეგ მან კვებით დაამყარა ქართველ დრამატურგებთან (შ. დლახანი, პ. კაკაბაძე, კ. კოსტანი, ი. მკალი, და სხვ.) და დიდი დახმობა გაუწია ქართული საბჭოთა დრამატურგის აღმავლობას.
¹³ წერილი: „ქართული დრამატურგია და რეპერტუარი“. გაც. „ქართული სიტყვა“, № 15, 1924.





კარამა
ახალციხე

XVI-XVIII სს. კავთელ მკვლევართა
კულტურის ისტორიკოს

კარამა

საინტერესო

ნაგრძელი



ამომცემლობა „განათლება“ გასული წლის დამლევს გამოსცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერი მუშაკის ვ. ართილავას მონოგრაფია „XVI-XVIII საუკუნეების ქართული მატერიალური კულტურის ისტორიიდან“.

ნაშრომში დეტალურად არის შესწავლილი XVI-XVIII საუკუნეების ქართული ავეჯის ფორმები, მოცემულია მისი შემკულობის სრული დახასიათება (ორნამენტის ცალკეულ დეტალებს შინაარსის კარჩევა).

ქართული ავეჯის შესწავლის საქმეში სერიოზული ხარვეზები გააქის. ამ ხარვეზს აესხეს ვ. ართილავას მონოგრაფია, რომელშიც საკმაოდ სისრულით არის გადმოცემული მატერიალური კულტურის ამ დარგის განვითარების მთავარი მომენტები საგლეჯი პერიოდისათვის. შრომაში ავეჯი ქრონოლოგიურად არის შესწავლილი. მკვლევარი ემყარება წერილობით წყაროებს, ხელნაწერთა მინიატურებს, მხატვართა ჩანახატებს, კიდლის მხატვრობას, ჭიდაობი ხელოვნების ძეგლებს და დღემდე მოწვეული ავეჯის ნიმუშებთან შედარების ანალოზს.

ნაშრომი თხის თავისაგან შისდგება. პირველ თავში განხილულია ისტორიული წყაროები და დახასიათებულია ის პერიოდები, რაც საფუძვლად უდის კამოვლავებს. მეორე თავი რამდენიმე ქვითაა აერთიანებს. ამ ნაწილში ავტორი ჩერდება საყდარ-ტახტების, სააბრძოლის, შურიანი გრძილი სკამების და საწოლების დახასიათებაზე. მესამე თავს მაგიდების დახასიათებას უძღვნის. კერძოდ, აქ წარმოდგენილია

გლეხური სუფრები, საზეიმო სასტუმრო, საწერი კიდობანები, მაგიდები და სხვ. თავის ანგაზობით რთულია მეოთხე თავი, რომელშიც გამოკვლეულია ნიშები, თანხები, განჯინები, კიდობანები, სკიფრები, ზანდუკები და საწიფრები.

მონოგრაფიას დართული აქვს ფართო რეზიუმე რუსულ ენაზე, რაც წინას მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის მისაწვდომს ხდის. ილუსტრაციათა წარწერები, აგრეთვე საძიებელი ქართულ და რუსულ ენაზეა შესრულებული.

მკვლევარმა ავეჯის ფორმები წარმოგივლდინა ხელნაწერების მდიდარი მინიატურების, კედლის მხატვრობის, კედური ხელოვნებისა და მხატვართა მიერ ჩანახტული მასალების ურთიერთშეჯერებას და ეთნოგრაფიულ მონაცემებთან შედარების საფუძველზე. აქ მეცნიერულად არის დასაბუთებული ყოველი ნივთის საწყისი ფორმა, მისი აღმოცენებისა და განვითარების პერიოდი. მკითხველს საშუალება ეძლევა თვალის გადაღვინის ავეჯის ფორმების განვითარების ისტორიულ ეტაპებს.

XVII საუკუნის ხელნაწერი წიგნების მინიატურებში ჩანახტული მაგიდების, ტახტ-სავარძლების და კიდობანების ვარიანტებს ვ. ართილავამ პარალელური უპოვნა ჩვენში დღემდე შემონახულ ნივთებთან. კერძოდ: სვანურ „საკურცხილთან“, „ლგრჯიშთან“, სკიფრებთან და ა. შ.

საფუძვლიანი შედარებითი ანალიზით მკვლევარმა დადგინა ბევრი მათგანის ასაკი. კერძოდ, დაუსტავა, რომ ფარჯიანების მარჯობის ტიხარი XVII საუკუნის ძეგლია, რომელიც ადრე ჩარჩიანების საკურთხეა ყოფილა. ეს ძეგლი ხალხური არქიტექტურის ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუშია, რომელმაც ხალხური ჩუქურთმის ძვირფასი სახე შემოგვიანა.

ასეთი მონოგრაფიები არქიტექტორებს, მხატვრებს სკულპტორებს დადად ეხმარება ავეჯის ერთგული ფორმების შესწავლისა და შემოქმედებითი ათვისების საქმეში.

მონოგრაფიამ უხვადაა წარმოგივლილი ქართული ერთგული ორნამენტით დამუშავებული ხის ნაკეთობანი, ახსნილია ორნამენტის შინაარსი, მისი წარმოშობის სათავეები. მაგალითად, სვანთში გაერცილებულ ხის ზოგიერთ ორნამენტს ვ. ართილავა საბოლოო კულტს უკავშირებს. ამასთან დაკავშირებით იგი წერს: „საკონილი სვანის ოჯახის მარჩნალი და სიმდიდრის წყარო იყო, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ სვანები საბოლოო საკულტო საგანად ხდებოდნენ. ბუნებრივია, რომ ორნამენტის ამ სახემ განსაკურთხეული ადგილი დაიკავა სვანური სახლის არქიტექტურაში, კიდობანებზე და სავარძლებზე“ (გვ. 49). ავტორი სწორად ამით ხსნის სვანური სახლური ორნამენტის თავისებურებას.

ფრიად საინტერესოა სხვადასხვა ქართულ ავეჯში, კიდობანებში, მაგიდებში და სამკმეზე ცის მწაბობთა ამოოსახელობების არსებობა. ვ. ართილავა გაცნობია საჭარბოლოს კუთხოების საწიფო რიტუალებს, შინას და სხვა მწაბობთა მნიშვნელობას ამ რიტუალებში. ხსნის მათს ამოზნის ქართული ორნამენტობის დეტალებს. ახსნილია აართიუ ჯარის გამოოსახელობის შინაარსი და ადგილი ხის ორნამენტებში.

მკვლევარი დიდ ადგილს უთმობს შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ოფთხისკაოსის“ ხელნაწერის მინიატურების ანალიზს. ამ მინიატურებში, რომლებშიც XVII საუკუნის შინაარსობრივი მამუა მდიდრის მიერ, ვხედავთ ქართული ავეჯის სხვადასხვა ფორმებს.

მონოგრაფია ავტორის ხანაძლიერი და ნაყოფიერი შრომის შოთაია. იგი უძიებლად ერთ-ერთ საპატიო ადგილს დაიკავებს მატერიალური კულტურის ისტორიაში თითი ნაშრომითა შორის, რომელიც ქართველ მკვლევრებში შეიჭნის. ამასთან იგი ხელს შეუწყობს ავტორის მიერ უხვადა გამოვლილი სახლური ავეჯის აღრცელებაზე აყვანისა და მისი დაცვის საქმეს.

ა. მათიაშვილი, ვ. ყაიხიშვილი



1935-36 წლებში თამარ კობახიძე მუშაობს კულტურის (ამჟამად 1 მაისის სახელობის) სახლში, ამავე დროს მონაწილეობას იღებს კულტურის სახლთან არსებულ დამატებით ვრის წარმოდგენებში. (წრეს ხელმძღვანელობდა რუსთაველის თეატრის მსახიობი დავით ხუციშვილი).

„ბავშვობიდანვე ძალიან მიყვარდა ხელოვნება, — იცნობს თამარ კობახიძე, — ყოველ კვირას დავდიოდი თეატრში. როცა რუსთაველის თეატრის სპექტაკლებს ვუყურებდი, ჩემი თავი დიდებულ ტაძარში მეგონა და იქ მუშაობის დიდი სურვილი მქონდა.

დავით ხუციშვილის დახმარებით თამარი 1937 წლიდან რუსთაველის თეატრში იწყებს მუშაობას. ჯერ ადგილკომის მდივანია. სამი წლის შემდეგ კი თეატრს კადრების განყოფილების გამგედ ნიშნავენ, ხოლო 1948 წლიდან დღემდე სარეკვიზიტო სააქმოს მუცვლელი გამგეა.

თეატრი თამარს საკუთარი ოჯახივით უყვარს. „ახალგაზრდობის საუკეთესო წლები აქ გავატარე. თეატრი ჩემთვის ყველაფერია! — ამბობს იგი.

1941 წელს სცენის მუშები ფონტზე წავიდნენ. თამარ კობახიძემ პირველმა შესცავლა ისინი. მას მიზამა ბუტფორმა თამარ ივანიშვიამ. ლევან აბუაშვილისა და ამ ორი ქალის ზურგზე გადადიოდა ტექნიკურად რთული სპექტაკლები: „ლამარა“, „ანზორი“, „თეთნულდი“, „ყაჩაღები“, „ოტელიო“, „სამშობლო“, „დიდი ხელმოწიფი“, „ბოჯან ხმელნიცია“, „არსენა“, „ქეთევან დედოფალი“ და სხვ. ომის წლებში თამარი თეატრის სხვა მუშაკებთან ერთად კოსპიკალში მწოლ დატყობილებს ეხმარებოდა. ამისთვის მიიღო მან მედალი „კავკასიის დაცვისათვის“.

სარეკვიზიტო საქმე თამარს თეატრის სადადგმო ნაწილის გამგემ ნიკოლოზ კრავიშვილმა შესწავლა. ახლა კი თამარ კობახიძე თავის ცოდნას და გამოცდილებას გადასცემს მის საამქროებში მომუშავე რეკვიზიტორებს და ცდილობს აღზარდოს ამ საქმის კარგი სპეციალისტები. მართალია დროს თავისი მიატეხ, მაგრამ თ. კობახიძე კვლავ ახალგაზრდული ენერჯითი ვისახურება სავაერლო თეატრს.

სცენის მემანქანე მიხეილა მთავაური 1897 წელს დაიბადა სოფელ მეგრეთში, გლეხის ოჯახში. ხუთი წლისა იყო, როცა მამამისი თბილისში გადმოვიდა. 18 წლის მიხეილ თურქეთის ფრონტზეა. 1920 წელს იგი სარკინიგზო სახელისონოში იწყებს მუშაობას დურგლად და საღამოს სკოლაში სწავლობს.

1933 წლის შემოდგომაზე მიხეილი გადადის რუსთაველის თეატრის სადარგლო საამქროში, სადაც ადვალად ითვისებს დეკორატორის სპეციალობას. სამი წლის შემდეგ კი გადატყავს სცენის მემანქანედ. თეატრალურმა ატმოსფერომ ისე მოხიზა მიხეილი, რომ გადაწყვიტა თავისი შრომითი საქმიანობა აქ განეგრძო.

მიხეილ თვაური, როგორც თავისი საქმის საუკეთესო ოსტატი, მრავალჯერ არის დაჯილდოებული. მიღებული აქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და კულტურის სამინისტროს საპატიო სიგელი.

სცენის მემანქანეს, გარდა იმისა, რომ უნდა იყოს ტექნიკურად მომზადებული და პრაქტიკულად გამოცდილი სპეციალისტი, უნდა გააჩნდეს თეორიული ცოდნაც. 1941 გარდა უნდა ერკვეოდეს კონსტრუქციების ნახაზებში. ყოველივე ეს თეატრში შესწავლა მიხეილმა მონღღმების, მუჰოვარი შრომისა და დაკვირვების წყალობით.

მიხეილ თვაურმა იცის, რომ სპექტაკლის ტექნიკურ მხარეზე მეტრი რამ არის დამოკიდებული. ამიტომ დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება ყოველ წერილმანს. თავის ძირითადი საქმიანობის გარდა იგი მუდამ ზრუნავს ტექნიკური მხარის გაუმჯობესებაზე. მაგალითად, თუ ადრე მძიმე კედლის გადატანას ოთხი მუშა სჭირდებოდა, მიხი წინადადების შემდეგ ამ სამუშაოს ერთი მუშა ასრულებს.

ბუნებთ ჩუხმა და დამოხმად მიხეილ თვაურს მთელი გულით უყვარს თეატრი. სწორედ ეს სიყვარულია მიზეზი იმისა, რომ დღეს ამ თეატრის კოლექტივში იგი იუბილარად იყოღება...

ეს უჩინარი ადამიანები დიდსა და საპატიო მოვალეობას ასრულებენ თეატრის რთულსა და მრავალფეროვან ცხოვრებაში.

აყუკგლისთის

უჩინარი

აკლიანაგი



აყურებელი ტაბით აჯილდოებს სპექტაკლის შემქმნელებს, მონაწილეებს... მაგრამ ამ

სპექტაკლში თავისი დეაწლი აქვთ უჩინარ ადამიანებსაც, რომლებიც თავისებურად ფაქიზ და რთულ სამუშაოს ასრულებენ. ესენი არიან სცენის მემანქანეები, რეკვიზიტები, განმანათლებლები და სხვები. თეატრი ხომ რთული ორგანიზაცია და სხვადასხვა საქმის სპეციალისტებს იყრებს მის ირგვლივ. სწორედ ამ უჩინარ ადამიანებს მოუწო შეხვედრა რუსთაველის თეატრის კოლექტივში. ამ თეატრში მუშაობის 30 წლის საიუბილო საღამო გაუმართა სარეკვიზიტო საამქროს გამგეს თამარ კობახიძეს და სცენის მემანქანეს მიხეილ თვაურს.

თამარ კობახიძე დაიბადა 1912 წელს, სიღნაღში, ღარიბი მუშის ოჯახში. სიღნაღშივე დაამთავრა შვიდწლიანი სკოლა. შემდეგ თბილისში, შინამრეწველობის ტექნიკური სამშენებლო ფაკულტეტზე სწავლობდა.

„სცენა, რეჟისორი, მსახიობი“

ლერი კეცაძე



ყო დრო და არც თუ ისე შორეული — დაახლოებით ამ თთხმთხიციდე წლის წინათ, როცა ჩვენი ეროვნული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზრის კაცურ-კაცობით მადღებელი მეთაური ილია ჭავჭავაძე თავისი „ივერიისათვის“ წერდა სტატიას — „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არ ვაგვაქვს“. ილიამ ჩინებულად იცოდა, რომ „ლიტერატურა თავისის ფართო მნიშვნელობით, გონების ნაჭირნახულევი ხვავია, საცა წმინდა ზორბალიც არის და ბაილა-ბულაბის თესლიცა. რაც ცხავია ხვავისათვის, ისიც კრიტიკისა ლიტერატურისათვის“; იცოდა, ან „თვითმჯელობა, თვითმხედველობა გონებრივი უმაღლესი წერტილია ადამიანის განვითარებისა და წარმატებისა“; იცოდა და ამიტომაც გულისტვირთით მიუთითებდა, რომ პროფესიული კრიტიკული არის უკონლობა „დიდი და ფრიად დიდი დანაკლისია“.

სულ სხვა სურათი გვაქვს ახლა, მეოცე საუკუნის სამოციან წლებში, როცა განვითარდა და გამოიწროთა ქართული ლიტერატურათმცოდნეობა, კრიტიკული საზოგადოებრივი აზროვნება. დღეს ქართული კრიტიკა, ისეც ილიას სიტყვებით თუ ვიტყვი, რომოც „უხარი თვითმჯელობისა, თვითმხედველობისა“, ...ჩვენის სულიერი ძალონის აღმატების და განდიდების ნიშანი“ მხარში უდგას ქართულ მწერლობას, ქართულ ხელოვნებას და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომ განმტკიცება-განვითარებაში.

ქართული კრიტიკის მოწინავე უბანია თეატრალური კრიტიკა, რომლის მნიშვნელობა და საზოგადოებრივი რეზონანსი უაღრესად გაიზარდა უკანასკნელი ათი-თხუთმეტი წლის მანძილზე. უახლოეს წარსულში ეროვნული თეატრის აღმარებულ ისტორიოსთა და თეორეტიკოსთა მცირერიცხოვან რაზმს დღეს მხარში უდგანან პროფესიული ცოდნით, მასებით თავილითა და კალმით აღჭურვილი ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელი. ისინი ორმოცდაათიანი წლების შუახანებში მოვიდნენ თეატრალური კრიტიკის ასაბრუნზე და საგულისხმო კვალიც დაატყვევეს ქართულ საბჭოთა თეატრალურ აზროვნებას.

ამ თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია ნოდარ გურაბანიძე — ავტორი უკვე რამდენიმე წიგნისა და, რასაკვირველია, მრავალი საყურადღებო საყურნალო და საგაზეთო სტატიისა.

„სცენა, რეჟისორი, მსახიობი“, — ასეთი უპრეტენზიო, ლაოუნური, მაგრამ მტყველი სახელწოდება აქვს ნოდარ გურაბანიძის ახალ წიგნს, რომელიც ახლანანს მეცხოველის პირთუფელ სამსაჯაროზე გამოვიდა.

სარდატყეო ანოტიაციამი მოკლედ აღნიშნულია წიგნის

* ნოდარ გურაბანიძე — სცენა, რეჟისორი, მსახიობი, გამოცემულია „ლიტერატურა“ და ხელოვნება“, თბილისი, 1966 წ.

რამბა, მითითებულია, რომ იგი ჩვენი თეატრის პრობლემებს ეხება, რომ აქ უკანასკნელი წლების თეატრალური სეზონების საუკეთესო სპექტაკლების ფონზე განხილულია ქართული თეატრის სტილის, ეროვნული თავისებურებების საკითხები. სპეციალური წერილები ეძღვნება აგრეთვე ქართულ დრამატურგიას, თანამედროვე საზღვარგარეთულ თეატრალურ მიმდინარეობებს და ქორეოგრაფიულ ხელოვნებას.

ეს თითქმის სამასგვერდიანი წიგნი თეატრალური გამოვლევების, სტატიებისა და წერილების კრებულს წარმოადგენს. და თუმცა თვითული დაწერილია სხვადასხვა დრისა და სხვადასხვა საკითხის გამო, კრებული მაინც მთლიანი და შეკრულია. ეს მთლიანობა საუკეთესოდ არის გამოხატული სახელწოდებაშივე.

წიგნის წაიხვივით მიღებული პირველი შთაბეჭდილება დაახლოებით ასეთია: თვენი გაიცინათ ადამიანი, რომელიც მკაფიოდ, გატაცებით და სიყვარულით მოგიფიქრებდათ თეატრზე! თვენი გაიქვით ადამიანი, რომელსაც ღრმად შეუსწავლია ეროვნული და საზღვარგარეთული სასცენო ხელოვნება, დრამატურგიული მწერლობა, თეატრალური კრიტიკა, თავისი გულისა და გონების ქურაში გამოთვრებია წარსული თეატრალური აზროვნების მონაპოვარი და უაღრესად დახვეწილი, მაღალი გემოვნებით მადღებელი და პოეტურობამაც ამაღლებული ფორმა მოუნახავს საკუთარი ნაწარმის განმოსახატავად. ნოდარ გურაბანიძის წიგნი „სცენა, რეჟისორი, მსახიობი“ არის არა უბრალოდ წერილები თეატრზე, არამედ ჭკუადაზრდადი აზროვნება თეატრზე...

ჩვენის აზრით, წიგნიმ ყველაზე მნიშვნელოვანია კრიტიკული ნარკვევი „ვატა-ფშაველა და ქართული თეატრი“ (ტრაგიკულის გრძობა ვატა-ფშაველას შემოქმედებაში), რომელსაც თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ მონოგრაფიული გამოკვლევა.

გამოკვლევის დასაწყისშივე ლაკონურად ჩამოყალიბებულია ვატა-ფშაველას — კაცობრიობის პირველქმნილი ბავშვის უკანასკნელი პოეტის (კორნელი ზელონისკის გამოთქმით) შემოქმედების ძირითადი ხასიათი და მასში ტრაგიკული ბუნების პირველწყარო.

„უპირველესად ვატა არის დიდი ჭკუანისტი — ყოვლის შემცნობი გონებითა და გულით, — წერს ნ. გურაბანიძე. — მთელი მისი შემოქმედების ბათოსი ეს არის მოწოდება ადამიანისა და სამყაროს განახლებისაკენ, და ვინაიდან მას ბუნება და ადამიანი ერთ მთლიანობაში წარმოედგინა, ამიტომაც გრანდიოზულ მასშტაბებს იღებს ამ სივრცეში გაშლილი ბძროლა და ტრაგიკული შეჯახებანი“.

ეს ზოგადი ხასიათის დასკვნა მთელი გამოკვლევის მანძილზე გაშლილი და დამუშავებული, ყოველი ცალკეული



თეატრმოცლენ ნოდარ გურამანიძე

რამა. აქვე მოკლედ განხილულია „მოკვეთილის“ არჩილ ჩხარტიშვილისეული დადგმა მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე.

ქართულ სცენაზე ვაჟა-ფშაველას გაცოცხლების საყურადღებო ნიმუშს — დავით გაჩეჩილაძის „ბახტრიონს“ და ამ პიესის მიხედვით შექმნილ საექსტრალ რუსთაველის სახელობის თეატრში (რეჟისორი დიმიტრი ალექსიძე) ნ. გურამანიძე მაღალ შეფასებას აძლევს და მას თავისი გამოკვლევის ვრცელ დასკვნით ნაწილს მიუძღვნის.

„არა გვგონია, იმ ცრემლზედ უტკბები რამ იყოს ქვეყანაზედ, როცა იგი ჰქონავს ბედნიერებისა და სიხარულის ნამეტანობისაგან, და იმ სიცილზედ უმწარესი რამ, როცა კაცი ტირილით ხარხარებს უბედურებისა და მწუხარების სასებნისაგან.“ — წიგნის ერთგან ილია. სწორედ ეს ცრემლიანი სიცილი და სიცილიანი ტირილია დავით კლდიაშვილის მთელი შემოქმედება და, კერძოდ, მისი დრამატურგია.

ამ დრამატურგიის ღრმა ანალიზია მოცემული ნ. გურამანიძის ერთ-ერთ კრიტიკულ ნარკვევში, რომელსაც უპრეტენზიო სათაური აქვს („შინიშნები დავით კლდიაშვილის დრამატურგიაზე“), მაგრამ უაღრესად ღირებული და მნიშვნელოვანი გამოკვლევაა აღნიშნულ საკითხზე. ავტორი იძლევა „ირინეს ბედნიერების“, „დარისპანის გასაჭირის“ და „უბედურების“ გმირთა ტრაგედიის ფსიქოლოგიურ და სოციალურ ახსნას, გვიჩვენებს, თუ რა ოსტატურად იყენებს მწერალი დიალოგებს თავის გმირთა ხასიათების დასახატავად. აქვე გარკვეულია, თუ რამდენად სწორად გაიგო ქართულმა თეატრმა დავით კლდიაშვილის დრამატურგია. ნ. გურამანიძის ეს გამოკვლევა უაღრესად მნიშვნელოვანია იმიტრაციის, რომ ჯერჯერობით ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობას არ შეუქმნია ღრმამეცნიერული მონოგრაფიული შრომა დავით კლდიაშვილის დრამატურგულ მემკვიდრეობაზე.

შკითხველის ყურადღება ჩვენ თავდაპირველად გაავამახვილეთ გამოკვლევებზე, რომლებიც წინაშიც დაბეჭდვის რიგით მესამე და მეოთხეა. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სხვა სტატები ნაკლებ მნიშვნელოვანია, ნაკლებ საყურადღებო საკითხებს ეფებიან და აღძრავენ.

აი, თუნდაც კრებულის პირველივე წერილი „რეჟისორი ექვთეს თეატრს“. რატომ დაიწერა იგი? ამ ორი-სამი წლის წინათ გამოვიდა სანდრო ახმეტელის თეატრალური ნაზარევის კრებული და თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძის მონოგრაფია „სანდრო ახმეტელი“. და აი, ნ. გურამანიძე თავის წერილში ყურადღებას ამახვილებს რეჟისორისა და სასცენო ხელოვნების იმ საკითხებზე, რომელიც ეს წიგნები აღძრავენ.


სანდრო ახმეტელი ქართულ თეატრში განსაკუთრებული მოვლენა იყო და ჩვენნი თეატრმცოდნეობა ვალშია დიდი რეჟისორის წინაშე. ახმეტელი ემებდა ახალი ეპოქის შესაბამის ქართული თეატრის ეროვნულ ფორმას, ცდილობდა შეექმნა სცენაზე ეროვნული ხასიათი, მას უნდოდა ეზილა ჩვენი თეატრის „გამომხატველი ქართული ადამიანის თავისებურებისა, მისი ხასიათის, ფსიქოლოგიური ცხოვრების მოძრაობის, მისი სულისკვლევისა“.

ნ. გურამანიძის ამ წერილს დიდი ყურადღებით გავცნობა

დებულება და დასკვნა დასაბუთებულია ღრმა ფილოლოგიური ძიებითა და სათანადო მავალითებით. ავტორი დამაჯერებლად გვიჩვენებს თუ სად არის ვაჟა-ფშაველას ტრაგიკული მუხის სათავე, რა ქმნის მის შემოქმედებაში ტრაგიკულ კოალიზიებს, ასაბუთებს, რომ ვაჟას, როგორც მწერალს უაღრესად განვითარებული აქვს ტრაგიკულის გრძობა, რომ ტრაგიკული კოალიზის გრძობით, მისი გამოსატყვის ტიტანური ძალით ქართული პოეტი ახლის დგას ძველ ბერძენ ტრაგიკოსებთან და აღორძინების ეპოქის გვიგანტთან — შექპირთან. „რას მომაგონებს მოღრუბლული, გაშავეული ცა, რომელიდანაც ელვა გამოფარდება და კაცს ზიანს აძლევს, ცხოველები ორთიან, მცენარეთაც კანკალი აიტანს, ბუნება გამეტანებული, სულგანაზულია“

ეს მოვლენა მომაგონებს გამბედავს, სიმართლისმოყვარულ კაცს. ის ბევრს აწყენინებს, მაგრამ მისი სიტყვა კაცობრიობის წყულს მალამოდ დაედება. მისი სიტყვა გააღვიძებს კაცობრიობის გულს, როგორც წვიმა გამზარ დედამიწას“. — ვაჟა-ფშაველას ამა სიტყვებში ჩვენ ვხედავთ თვით პოეტის და უდგარიმელ, ადამიანური სამართლიანობისათვის მებრძოლ შეუდრეკელ ბუნებას, პოეტის დიდი გმირულ გულს, რომლისთვისაც ტრაგიკული გრძობა თითქოს შევებაა გარემომცველ ყოფიერებაში.

გამოკვლევის მეორე ნაწილში განხილულია ეროვნულ თეატრში ვაჟა-ფშაველას შემოქმედების გასცენიერების საკითხთან დაკავშირებული პრობლემები. ნაჩვენებია სანდრო ახმეტელის როლი ამ პრობლემების პრაქტიკული გადაჭრის აზრით, გარკვეულია თუ რა როლი შეასრულა ქართულ თეატრალურ კულტურაში ამ გენიალური რეჟისორის მიერ ვაჟას შემოქმედების მოტივებზე შექმნილმა საექსტრალმა „ლამა-



ყველა — უბრალო მკითხველი თუ სპეციალისტი, ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ქართული საბჭოთა თეატრის და მისი ერთ-ერთი ბრწყინვალე შემოქმედის სანდრო აბმეტელის სახელი. გაეცნობა და დარწმუნდება, რომ სანდრო აბმეტელის შემოქმედების მთავარ ძალას წარმოადგენს „...მისწრაფება ეპოქის მთავარი ტენდენციების გამოხატვისაკენ“. აბმეტელის აზრით თეატრის ასპარეზი უნდა იყოს ის, რაც ხალხის ინტერესების ძირითად სფეროს შეადგენს, საზოგადოებამ არ უნდა გაუსწროს თეატრს იდეების სერიოზულობით და მაღალი გემოვნებით.

უკანასკნელ წლებში ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ შექმნა რამდენიმე საყურადღებო სპექტაკლი, რომლებიც შეიყვარა ჩვენმა მაყურებელმა და ჯეროვანად შეაფასა თეატრალურმა კრიტიკამ. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე განხორციელებული სპექტაკლები „კოლხეთის ცისკარი“, „მე, ბებია, ილიკო და ილიარიონი“, „მე გვებდა მუხესა“, „კახაბერის ხმალი“. გიგა ლორთქიფანიძეს, როგორც ამ სპექტაკლების შემქმნელ რეჟისორს ეძღვნება ნ. გურაბანიძის წერილი — „როცა ადამიანი ხედავს მუხეს“. ამ ვრცელ რეცენზიის რეზიუმე მოცემულია დასაწყისშივე, სადაც ნათქვამია:

„რეჟისორ გ. ლორთქიფანიძის შეხედვარა ქართველ მწერლებთან უნდა მივაწეროთ შემოქმედის თავისებურებათა, სამყაროს ხილვათა იმ ბედნიერ შერწყმას, როცა შემოქმედნი ურითვის ავსებენ და მთლიანი სინთეზს წარმოგივლდებიან; ამ მთლიანობის ორიგინალობა, და თუ გნებოთ, მისი პარადოქსალურობაც ეს სწორად იმპრეტი, რომ არ არის უკუღვე-ბელყოფილი არც ერთი მათგანის თავისებურება...“

ცხადია, ამ რეცენზიაში ჩვენ ვეცნობით არა მხოლოდ რეჟისორის შემოქმედებას, არამედ ამ სპექტაკლების მთავარ სახეებს და მათ შემქმნელ მსახიობებს. მაგრამ მაინც ეს არის წერილი რეჟისორზე და რეჟისურის საკითხებზე თანამედროვე ქართულ თეატრში. ამ აზრით მნიშვნელოვანია ავტორის დასკვნები, რეცენზიის ბოლოს მოცემული.

სამართლიანად აღინიშნავს ნ. გურაბანიძე, რომ ქართული თეატრის თანამედროვე ფორმები უნდა ვეძებოთ თანამედროვე ქართულ სინამდვილეში, რადგან იგი, ეს სინამდვილე ამოუწურავ მასალას იძლევა ამ ფორმების შესაქმნელად. რეჟისორი, რომელიც ვერ გრძნობს თავისი ხალხის კულისფთობას, ვერ გრძნობს იმ სახელს, რასაც მისი ერის ყოველდღიურმა წარმოქმნის და თეატრალურ ფორმებს ეძებს მის მიღმა, სხვა ნივთსავე არ სხვა თანამედროვე თეატრალურ იდეებში, ასეთი რეჟისორი შეიძლება თანამედროვე იყოს საერთოდ, აპრიორულად, მაგრამ იგი არ იქნება თანამედროვე ქართველი რეჟისორი.

...ადამიანებმა ტანჯვით შეიციან მთელი თავიანთი არსება, შეძლეს საკუთარი თავის განჭვრეტა, ღრმად იგრძნეს ჩადენილი მორალური დანაშაული და ამით ამაღლდნენ კიდევ, — დასალოებოთ ასეთი ჰუმანისტური კონცეპცია ეგვა სასუფეადად კოპოტის პიუსის მიხედვით შექმნილ სპექტაკლს, რომელიც რეჟისორმა მიხეილ თუმანიშვილმა დადგა რუსთაველის სახე-

ლობის თეატრში. „როცა ასეთი სიყვარულია“ ნამდვილად იყო თეატრის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი, ძიებითა და სიახლეთ აღბეჭდილი მაღალმატარული სპექტაკლი, რომელსაც აქტიურად გამოუმხარა მაყურებელი და ჩვენი თეატრალური კრიტიკა. ვრცელი რეცენზია უძღვნა ამ წარმოდგენას ნოდარ გურაბანიძემაც. ეს რეცენზია, — „რისთვის დადინ ადამიანები თეატრში“, რომელშიც განხილულია თანამედროვე ქართული სასცენო ხელოვნების აქტიუალური საკითხები, შეიძლიათ აღინიშნულ კრებულში გაიციონთ.

როცა სპექტაკლი სცენაზე აღარ იდგებოდა, მის შესახებ მსჯელობა შეიძლება მხოლოდ თანამედროვეთა მოგონებებით და რეცენზიებით. რამდენიმე ვრცელი წერილი და სტატია მიუძღვნეს ჩვენმა კრიტიკოსებმა ვერიპიდეს „მედვას“ დადგმას მარჯანიშვილის თეატრში (რეჟისორ არჩილ ჩხარტიშვილი), მთავარი როლის შემსრულებელს ვერკო ანჯაფარიძეს, მხატვრობას, მუსიკას... ამ რეცენზიათა შორის ნ. გურაბანიძის ვრცელი სტატია გამოირჩევა ნათელი ანალიზით, ობიექტური მსჯელობითა და სასცენო ხელოვნებაში ღრმა წვდომით. ეს როდია რეცენზია რეჟიუმებზე გაგებით, ეს არის საუკეთესო კრიტიკული ნარკვევი საერთოდ ბერძნულ ტრაგედიაზე, ვერიპიდეს „მედვასზე“, ქართული თეატრში ანტიკური ტრაგედიების დადგმის ტრადიციებზე და, კერძოდ, მარჯანიშვილელთა სპექტაკლებზე.

როცა ნ. გურაბანიძის ამ რეცენზიაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება აქვე არ მოვიხსენიოთ ამავე კრებულში დაბეჭდილი წერილი „სასპაზა პაპატანასის ტრაგედიაზე მუხა“, რომელიც ეძღვნება ქ. პირიუსის ბერძნულ თეატრს (თბილისში სავასტროლოდ იყო ამ ორი ვერსი წინათ) და მის უპირველეს მსახიობს ასპაზია პაპატანასიუს. მოხდენილად აქვს მინიშნული წერილის ავტორს, რომ პირიუსის თეატრის სპექტაკლებში ანტიკური ტრაგედიების პლასტიკური ბუნება, მისი განვითარების „ფორნტალურობა“ გადმოცემულია ქირის მიერ, ხოლო მისი სული — ასპაზია პაპატანასიუს მიერ. მედვასა და ელქტრის როლების განსახიერებთ ამ უნიკურებსა მსახიობმა ადამიანის რთულსა და ღრმა სამყაროში ჩაგვახე-

და და იმ მაღალ ხელოვნებას გვაზიარა, რომელსაც ტრაგიკუ-
ლი ეწოდება.

დასავლეთისა და ამერიკის თეატრალურ სამყაროში ერთ-
ერთი ყველაზე მოდერნისტული მიმდინარეობაა „აბსურდის
თეატრი“. ასევე ეწოდება ნ. გურაბანიძის წერილს, რომელ-
შიც განხილულია ამ მიმდინარეობის მხატვრულ-ესთეტიკური
და სოციალური სამყარო, მის თეორეტიკოსთა და პრაქტიკოს-
თა ტიპური ნააზრები. თანამედროვე საზღვარგარეთული თე-
ატრალური ხელოვნების მკვლევარები ამ წერილს ინტერესით
გაეცნობიან.

ნოდარ გურაბანიძის, როგორც თეატრალური კრიტიკოსის
კვლევის ობიექტთა მრავალფეროვნებაზე ნათლად მეტყველებს
ის ფაქტი, რომ აღნიშნულ კრებულში ორი წერილი ჭორფოგ-
რაფიულ ხელოვნებას ეძღვნება. და ისიც დიდად საკულის-
ხმოა, რომ ერთში („ცეკვაში განცდილი შექსპირი“) განხი-
ლულია გამორჩეული სამჭოთა ბალეტმასტერის ვახტანგ ტა-
ბუკიანის შემოქმედება და მისი ოტელი, ხოლო მეორეში ჭო-
რფოგრაფია ჯორჯ ბალანჩინისა, რომელიც საზღვარგარეთ
აღიარებულია თანამედროვე ბალეტის შემქმნელად.

ქართულ ბალეტ „ოტელიზე“ ბევრი დაიწერა, გამოვიდა
ცალკეული წიგნებიც. მიუხედავად ამისა ნ. გურაბანიძის აღ-
ნიშნული წერილი, თავისი მიგნებებითა და საბალეტო ხელოვ-
ნებაზე ღრმა ჩაფიქრებებით, საუკეთესო ნარკვევია ქართულ
ჭორფოგრაფიულ შექსპირიანაში.

ხოლო რაც შეეხება ბალანჩინისადმი მიძღვნილ წერილს,
იგი ერთ-ერთი საყურადღებოა იმ რამდენიმე რეცენზიას შო-
რის, რომლებიც დაიბეჭდა თბილისის პრესაში ჯორჯ ბა-
ლანჩინის საგასტროლო სემქაყლების გამო. აქ ნათლად
არის გატკეპული, თუ რაში მდგომარეობს ბალანჩინის ხელოვ-
ნების მიმზიდველობა და რას წარმოადგენს მისი უსიყუეტო
ბალეტი; სწორად არის მიითქმეული მთავარი ფაქტორი,
კერძოდ ის, რომ „...ბალანჩინი მუსიკას და ჭორფოგრაფიას
განხილავს ერთ მთლიანობაში და მსახიობის სხეულის მრავ-
ალფეროვანი გრადაციებით იძლევა მუსიკალური ფრაზის
აღქმვატურ პლასტიკურ ფრაზას“. ბალანჩინის ბალეტს აკლია
ტექსტი და არა აზრი, აკლია სიუჟეტი და არა შინაარსი...

აქ მხოლოდ ის შევძელით, რომ ჩამოგვეთვალა ნ. გურა-
ბანიძის წიგნში დაბეჭდილი წერილები და მხოლოდ რამდენ-
იმე სიტყვა გვეთქვა თვითიველ მათგანზე. წიგნში განხილუ-
ლია თეატრთან დაკავშირებულ საკითხთა უაღრესად ფართო
და მრავალფეროვანი წრე. დასწრელია მრავალი აქტუალური
საკითხი და პრობლემა, გამოთქმულია ბევრი, შეიძლება სა-
კამათო, თამამი აზრი და დებულება, რომლებიც ზოგჯერ შემე-
დგომ დაწესებებს, შესწავლას და დაზუსტებას მოითხოვენ.
მარამ მთავარი ეს როდია. მთავარი ის გასლავთ, რომ ნოდარ
გურაბანიძის წიგნი „სცენა, რეჟისორი, მსახიობი“ ერთ-ერთი
საყურადღებო მოვლენაა თანამედროვე ქართული თეატრალურ
კრიტიკაში და კრიტიკულ აზროვნებაში. ისიც მნიშვნელოვანია,
რომ ამ წიგნს სიამოვნებით გაეცნობიან როგორც თეატრ-
ის სპეციალისტები, ისე რეალით მეტონველები, რომელთაც
ერთნაირად და საზღვარგარეთული თეატრალური ხელოვნების
დღევანდელი დღე და მომავალი ბედი აინტერესებთ.

ნერილაი ხელოვან ალეიანეზი

(გარონტი ქიქოძის
ნაწარმოებითა
საკომპოზიტოს ბაშო)

ლია მალრადე

ქართული ლიტერატურის გამოჩენილი მკვლევარი და
კრიტიკოსი, დაკვირვებულ მოაზროვნე, იშვიათი
მთარგმნელი, დიდად განათლებული და ფართო
ერუდიციის საზოგადო მოღვაწე — გერონტი ქი-
ქოძე ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს დაუღალავად შრომობდა
ქართული კულტურის საკეთილდღეოდ. ამ დროის განმავლო-
ბაში არ წამოჭრილა თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი
პრობლემა ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში, ლიტერატურათ-
მცოდნეობაში და მხატვრული კრიტიკის სფეროში, რომლის
გადაწყვეტა-გაშუქებაზეც აქტიური და მეტად ნაყოფიერი
მონაწილეობა არ მიეღო გ. ქიქოძეს. მას თითქმის არ დატო-
ვებია ქართული მხატვრული კულტურის არც ერთი პერიოდი,
კლასიკური მწერლობის არც ერთი ღირსშესანიშნავი ნაწარ-



მოები, რომელთა შესახებაც თავისი აზრი არ ეთქვას. ნაშრომებში იგი ყოველთვის ცდილობდა ღრმად ჩასჭედობოდა ხელოვნების იდეური და მხატვრული აზროვნების თავისებურებას, რასაც ახ ვისაც არ უნდა განიხილოვდეს, გ. ქიქოძე უზღუმ ავლებდა საგნის ღრმა ცოდნას, შიდადამად დიდი სიყვარულით. იგი იყო გულმგობრად მხატვრული ჭეშმარიტად დიდ-და მადალი ცხოვრებისა და ჩვენი იმ ახალი ხელოვნებისა, იმ ახალი ლიტერატურისა, რომელიც ამ ცხოვრებას ეტრფის, გამახატავს, აწვევს, აღამაზებს. მას არ სწყადა უიდეო, თვითმზრერი ხელოვნება. ამიტომაც მისმა საუკეთესო შრომებმა საბატო ადგილი დაიკავეს ჩვენი მხატვრული კულტურის საგანძურში.

გ. ქიქოძის — ქართული კავშირების ერთ-ერთი უაღრესად აქტიური მშენებლის წერილები საესა თანამედროვე ისტატია შემოქმედებითი გამაზრების სიამაყით. ერთ-ერთი წერილი იგი წერდა: „შედიდა იქნებოდა წამოგვედინება, თითქოს ღ. უდაბნოელი თანამედროვე ქართულ პლასტიკურ ხელოვნებაში რააც ხეობის პირამიდისათვის დგას და მის გარშემო მხოლოდ უდაბნოება. საქართველოს პლასტიკურ ხელოვნებას ბრწყინვალე მიღწეული აქვს და მრავალი გამოჩენილი ისტატის დასახელება შეიძლება როგორც ფერწერისა და გრაფიკის, ისე ქანდაკების, ხუროთმოძღვრებისა და კერამიკის დარგში“.

შინაგანი სტიქით გ. ქიქოძე მხატვარი-მოაზრონე იყო. მას ჰქონდა იშვიათი, ნათელი, ემოციური და უაღრესად კოლორითული სტილი. მის წერილებსა და მხატვრულ თარგმანებში ერთნაირად იგრძობა ქართული ენის სტიქია.

როდესაც ეცნობით მის წერილებს, რომლებიც ქართული ხელოვნების გამოჩენილი ისტატია მიღვაწეობას ეხება, გრძობით, თითქოს ავტორი ძუნწობს, გაუბნის მრავალისტატკანობას, მაგრამ ერთა-ორი შტრიხით სარკადი სიხადით გამოიყოფიან მათი ცხოვრების მნიშვნელოვან ეპიზოდებს; დიდი ისტატის ხელით ვეცნობა ადამიანებს, ძუნწავს მათ სასაბუთებს. მკითხველის თვალწინ გაივლებს მისი ხელით ნაქანდაკარი მრავალი გამოჩენილი პიროვნების, მიღვაწისა თუ მოაზროვნის პორტრეტი.

ცხადია, ეს მცირე მოცულობის წერილი მიზნად არ ისახავს ხელოვნების საკითხებზე. გ. ქიქოძის შეხედულებათა ღრმა ანალიზს. ეს თუ შეიძლება ასე ეთქვას, თვალის ერთი გადავრება ამ გამოჩენილი ქართველი მიღვაწის ნაშრომთა ახლახანს გამოცემულ სამტომეულ განხეულ ცალკეულ წერილებზე, რომლებიც ცხადყოფენ ავტორის იტერესთა მრავალმხრივობას, ენუდლიცას, კვლევის პრინციპებს, მის ღვაწლს ჩვენს ერთნულ კულტურულ ცხოვრებაში.

გულიდან მომდინარე თბილ სტრიქონებს უძღვინს გერონტი ქიქოძე ქართული სცენის დიდოსტატის ღალო მესხიშვილის პიროვნებას. მას ამ შემთხვევაში განა მარტო არტისტის პიროვნების ჩამოქანა აინტერესებს, არამედ სურს დაგვიხატოს ღ. მესხიშვილის პორტრეტი ქიქოძის ფონზე. ამიტომაც ცდილობს ჯერ გავეცნოს ინდივიდუალური ქუთათისა და მისი თეატრი. თავისი უპირველესი თავისებურებით, რამდენიმე შტრიხით დაგვარწმობინოს, თუ რას წარმოადგენდა ეს ქართული თეატრი „ძლიერი რომანტიკული გრძობითი“, შევცივების იმ ატმოსფეროში, რომელშიც მიღვაწეობა უხდებოდა მასხიშვილს, დავგანახოს თუ ვინ ტრადიციად მის გარშემო. მაშინდელი ქუთათის ხომ თეატრისა და მუსიკის მოყვარულ ქალბატონ ითვლებოდა. გ. ქიქოძე არ იფიქრებს იმათ, თვით თეატრის პარტერს აწვევებდნენ — გიორგი ზანდანიის და დავით მიქულაძის (მეველი), იოსებ ბაქრაძისა და იოსებ ცხესის, გიორგი შერვაშიძისა და კირილე ლორთქიფანიძის, და ბოლოს — აკაკი წერეთელს „თავისი მშობლიური თეთრი წვერით“ — ხანდახან რომ გამოჩნდებოდა პარტერში და

განსაკუთრებულ განწყობილებას ქნინდა. მართლაც მისი მშფაყავლები ყოლია ღალო მესხიშვილს.

გ. ქიქოძის სიტყვით, ღალო მესხიშვილი არა მარტო დიდი დიასახლისის მსაბიბი, სცენის ხანძელი ჯაღლიკო იყო, რომელსაც თავისი გაზარალი ხმით, უაღრესად შეტყვევლი მიმოქო, სრულყოფილი დიქციით, უაღრესად გარემოებით აღტკაცებში მოყავდა მაყურებელი. იგი სწორედ იმ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის, როელთაც სამშობლოს ავებებოდა ვაშს თავიანთი სწრებით ზედეს ქართული კულტურის იმიზე ტვირთო.

მისე თოიძეს გ. ქიქოძე პირველად 1914 წელს შეხვედრია, როდესაც მის მეტობრასა და მხატვრის თავყვანიშვილის ტასო ამირეჯიბის მხატვრის სახელით მიუყვანია. იგი იტობეს, თუ რა დიდი წარმატება ხვედომია მისე თოიძის სურათების გამოფენას ქართული თეატრის ფოიეში. მაშინ გერონტი ქიქოძეს ექო რა პატარა სურათი შეუქმნია — ერთი აკვარელი, სადაც მის სახლის პატარა აივანი ჩანს, მოაზროვე გადანილი ბაგეშებით, მთორე ექო ზეთის საღებავებით შესრულებული სოფლის ზეისჯე. გ. ქიქოძე სამართლიანად უწოდებს მ. თოიძეს მშენებრების ფაბრიკოსსა და ენთუზიასტს, სამშობლოსა და თავისი ხელოვნების უაგარო პატრიოტს.

ნინო ჩხეიძის პორტრეტის ხატვას მწერალი ჭაბუკობის ღრმა შთაბეჭდილებების გასხენებით იყვებს. იგი მამის რეალური სასწავლებლის მთორე თუ მესამე კლასის მოსწავლე ყოფილა. ნინო ჩხეიძე ახლად იდგამდა ფუნს ღალო მესხიშვილის ქუთათის თეატრის სცენაზე, სადაც იდგებოდა მქპპირისა და მილიერის, შილერისა და გუცცივის, იბსენისა და ჰაუტმანის თეატრები.

გ. ქიქოძე გულისტკივილით იტობნს, რომ ეს იყო ღრო, როდესაც სკოლებში აგრძალებული იყო ქართული დასარტაციე კი და ქუთათის თეატრი ერთადერთი იყო, სადაც ახალგაზრდობა იტან მამობის, აკაკი წერეთლის, დავით ერისთავის ენას მოსმენდა. ამ თეატრში, — წერს გ. ქიქოძე, — ღალო მესხიშვილი, ნინო ჩხეიძე და სხვები არა მარტო გმირულ როლებს ასრულებდნენ, არამედ ისინი ნამდვილი გმირები იყვნენ ცარზმის თვითმკყობლური რეჟიმის პირობებში.

